

# გზვიდლოზ, უსაფრთხოზბა დო სტოზილუროზბო ქვიმო ქოროლში

ოდგილოზრივი თოვოზის მონოხილოზით  
შემუშოვივული სტოოტოვიო



# გზვიდოზა, უსაფრთხოეზა და სტაბილურიოზა ქვიმო ქართილში

ადგილობრივი თემების მონაწილეობით  
შემუშავებული სტრატეგია

2011 წლის თებერვალი



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ანგარიში მომზადებულია მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავ-  
კასიური ინსტიტუტის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
და უსაფრთხო მსოფლიოს მიერ 2011 წლის იანვარში. აღნიშნული ანგარიში  
არის საქართველოში კონფლიქტების, უსაფრთხოებისა და მშვიდობის სა-  
კითხებზე ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობის მიმდინარე  
პროგრამის ნაწილი. პროგრამა და ანგარიში დაფინანსებულია ევროკავში-  
რის მიერ უსაფრთხო მსოფლიოს (Saferworld) და შერიგების რესურსების  
(Conciliation Resources) ერთობლივი პროექტის – 2008 წლის აგვისტოს კრი-  
ზისის შემდგომ შესაბამისი პირობების შექმნა, კონფლიქტის ეფექტურად თა-  
ვიდან აცილებისა და ტრანსფორმაციის მიზნით – ფარგლებში.

**მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი / CIPDD**

წერეთლის პროსპექტი № 72, II სართული

0154 თბილისი, საქარველო

ტელ: +995 32 35 51 54

ფაქსი: +995 32 35 57 54

E-mail: [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org)

Web: [www.cipdd.org](http://www.cipdd.org)

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / GYLA**

კახიძის (ყოფილი კრილოვის) N15

0102 თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 93 61 01 / 95 23 53

ფაქსი: +995 32 92 32 11

E-mail: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)

Web: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

**Saferworld**

The Grayston Centre,

28 Charles Square

London, N1 6HT, UK

Phone: +44 20 7324 4646

Fax: +44 20 7324 4647

Email: [general@saferworld.org.uk](mailto:general@saferworld.org.uk)

Web: [www.saferworld.org.uk](http://www.saferworld.org.uk)

Company no. 3015948 (England and Wales)

Charity no. 143843

წინამდებარე ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები არ ასახავს მშვიდო-  
ბის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის, საქართვე-  
ლოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ან უსაფრთხო მსოფლიოს თვალ-  
საზრისს.

## მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა ქვემო ქართლში – ადგილობრივ თემებთან შეთანხმებით შემუშავებული სტრატეგია

### შესავალი

ქვემო ქართლში 2010 წელს ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელთა ჯგუფმა მოსახლეობასთან ჩაატარა კონსულტაციები მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის პრობლემების გამოსავლენად. წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს ამ პროცესის შეჯამებას. ანგარიში გვაცნობს ჯგუფის მიერ გამოვლენილ პრობლემებს; გამოყოფს მათგან სამ უმთავრესს: ანაღვივება და იძლევა მათი მოგვარების რეკომენდაციებს. ეს სტრატეგია შემუშავებულია თემის წარმომადგენლების მონაწილეობით. ანგარიში ეფუძნება ადგილობრივი თემების შეხედულებებსა და თვალსაზრისს. ამის მისაღწევად საზოგადოების წარმომადგენლობითი ჯგუფი პროექტის საქმიანობის ყოველ საფეხურზე ადგილობრივ ჯგუფებთან მართავდა კონსულტაციებს. ეს არ გახლავთ ე.წ. ექსპერტული ანაღვივება. ეს არის ანაღვივება, რომელიც ეფუძნება ქვემო ქართლში მცხოვრები ადამიანების აღქმასა და რეალობას. ვიმედოვნებთ, ეს გამოცემა დაეხმარება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო გადაწყვეტილების მიმღებებს, უკეთ მოაგვარონ ის სირთულეები, რომლებიც რეგიონის წინაშე დგას.

ეს ანგარიში შედეგია პროგრამისა *საქართველოში კონფლიქტზე, უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე ფართო და ინფორმირებული დიალოგის ხელშეწყობა*, რომელიც ერთობლივად ხორციელდება *მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის*, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა* და *უსაფრთხო მსოფლიოს* მიერ. პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოებას საქართველოში, გააანაღვივოს კონფლიქტთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და უფრო მეტი პოზიტიური როლი ითამაშოს ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით. პროცესი მოიცავს ორმხრივ დიალოგს წარმომადგენლობით ჯგუფსა და ფართო საზოგადოებას შორის

სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში. ის ასევე მოიცავს რეგულარულ შეხვედრებს ამ რეგიონების წარმომადგენლებს შორის ანალიზის შედეგების ურთიერთგაცნობის მიზნით. პროცესი მიზნად ისახავს:


1. ინფორმაციის მიღებას საზოგადოების წევრებისგან კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე მათივე ხედვების შესახებ;
2. დაბალანსებული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას კონფლიქტთან დაკავშირებით;
3. საზოგადოების ხელშეწყობას, ახალი თვალთ და უფრო ფართო ჭრილში რომ მოხდეს საკითხების დანახვა;
4. საზოგადოებისთვის სხვადასხვა რეგიონში არსებული ხედვის გაცნობას.

მთლიანი პროცესი ოთხი საფეხურისაგან შედგება (იხ. დიაგრამა). პირველი საფეხურის მიზანი იყო გაგვეგო 2008 წლის ომის შედეგებზე ოთხ სამიზნე რეგიონში თემების თვალსაზრისი, და დაგვედგინა ამ რეგიონებს შორის თვალსაზრისთა სხვაობა. ამ საფეხურის შედეგები მოცემულია ანგარიშში “როგორ აღიქვამს საზოგადოება ქვემო ქართლში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და შიდა ქართლში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს და შედეგებს”. მეორე საფეხური ფოკუსირებული იყო იმ გამომწვევების ღრმა ანალიზზე, რომელიც არსებობს თითოეულ რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით. მესამე საფეხური კი ფოკუსირებული იყო იმ სტრატეგიების შემუშავებაზე, რომლებიც საჭიროა რეგიონებში შესაბამისი ძირითადი გამომწვევების დასაძლევად. ცალკეული სამიზნე რეგიონისათვის შეიქმნა თითო ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია მეორე და მესამე საფეხურების შედეგები (ეს ანგარიში ერთ-ერთი მათგანია). იმ მეთოდოლოგიების გასაცნობად, რომლებიც გამოყენებული იყო გამომწვევების ანალიზისა და შესაბამისი გადაწყვეტის სტრატეგიების შესაქმნელად, იხილეთ ამ ანგარიშის ბოლოში მოცემული დანართი. მეოთხე და საბოლოო საფეხური ამჟამად მზადდება და მოითხოვს ყველა რეგიონის წარმომადგენლის ერთობლივ მუშაობას, რათა ეროვნულ დონის გამომწვევების საპასუხოდ დაიგეგმოს გადაწყვეტის გზები.

ეს პროცესი ღირებულია იმიტომ, რომ ხელს უწყობს რეგიონის შიგნით და რეგიონებს შორის ამ პროცესში ჩართულ ჯგუფებს შორის ღრმა და მდგრადი დიალოგის პროცესის წარმართვას. მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის სტრატეგიები, რომლებიც შემუშავდა ოთხი რეგიონისა და მთლიანად ქვეყნისთვის, შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც საფუძველი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე პოლიტიკის შემქმნელებს შორის დიალოგის საწარმოებლად.

### დისკუსიის პროცესის საფეხურები

ეროვნული  
დონე



რეგიონული  
დონე

1. 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები და შედეგები
2. რეგიონებისთვის დამახასიათებელი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევების ანალიზი
3. რეგიონებისათვის დამახასიათებელი ძირითადი გამოწვევების დაძლევის სტრატეგიების შექმნა
4. ძირითადი ეროვნული გამოწვევების დაძლევის სტრატეგიების შექმნა

## შეჯამებული სტრატეგია

ადგილობრივი თემების მიერ გამოვლენილი ძირითადი პრობლემები:

1. ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების ზრდის შიში
2. ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის არცოდნა
3. სოფლის მეურნეობის რესურსების უსამართლო განაწილების და არაეფექტიანი მართვის განცდა

ამ გამოწვევების საპასუხოდ წარმომადგენლობითი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

*ქვემო ქართლში სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის დაძაბულობის მინიმუმადე დაყვანის მიზნით:*

- სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და სტერეოტიპების შესუსტება
- სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის საერთო ინტერესების სფეროების შექმნა
- სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მხრიდან ერთმანეთის ურთიერთგაგების და მიმღებლობის მაღალი დონის უზრუნველყოფა
- რეგიონის ეთნიკურ ჯგუფებში დაცულობის გრძნობის განმტკიცება

*რეგიონში ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით:*

- უმცირესობათა ჯგუფების ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის გაძლიერება
- არაქართულენოვან მოქალაქეებს შორის სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციის გაძლიერება
- ქართულის, როგორც მეორე ენის, სასწავლო პროგრამის გაუმჯობესება

*რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით:*

- სასოფლო-სამეურნეო რესურსების განაწილებასა და მართვაზე მოსახლეობის უკეთ ინფორმირება
- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება
- სოფლის მეურნეობის მრეწველობის კვალიფიცირებული პერსონალით უზრუნველყოფა
- სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარება რეგიონში

## ქვემო ქართლში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამოწვევები

თემებთან კონსულტაციებმა, რომლებიც წარმომადგენლობით-  
მა ჯგუფმა ჩაატარა 2010 წლის ივნისში, გამოავლინა რეგიონში  
მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით  
არსებული 11 მნიშვნელოვანი საკითხი. თემების აზრებისა და უკუ-  
კავშირის საფუძველზე ქვემოთ მოცემული პირველი სამი პრობ-  
ლემა შეირჩა როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი.

### ა) ძირითადი პრობლემები

1. *ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების ზრდის შიში.*  
ქვემო ქართლში ეთნიკური და რელიგიური დაძაბულო-  
ბა ეთნიკურ აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ (ასე-  
ვე, რეგიონში წარმოდგენილ მცირერიცხოვან ეთნიკურ)  
ჯგუფებს შორის ამ ეტაპზე ლოკალური ხასიათისაა და,  
ძირითადად, განწყობების დონეზეა. 2008 წლის ომის შემ-  
დეგად დაძაბულობამ მოიმატა, რაც მომავალში დაპი-  
რისპირების საფუძველი შეიძლება გახდეს. გაუცხოება  
და ადგილობრივ ეთნიკურ თემებს შორის, სუსტი ეკო-  
ნომიკური კავშირები, კომუნიკაციის ნაკლებობა, ნელი  
ინტეგრაციის პროცესი, ურთიერთუნდობლობა და რე-  
ლიგიის მზარდი როლი რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვ-  
რებაში ზრდის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის და-  
ძაბულობას.
2. *ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის არცოდნა* გან-  
საკუთრებით მწვავე პრობლემად მიიჩნევა, რადგან ეს უკა-  
ნასწავლი ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების  
ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ  
ცხოვრებაში. ეთნიკურ უმცირესობებში არსებობს სახელ-  
მწიფო ენის სწავლის დაბალი მოტივაცია. სადაც მოტივა-  
ცია არსებობს, ენის სწავლება მიუწვდომელია ან დაბალი  
ხარისხისაა. სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე აძ-  
ლიერებს გაუცხოებას და ამწვავებს გაუგებრობას როგორც

ეთნიკურ ქართულ და უმცირესობების ჯგუფებს შორის, ისე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს შორის.

3. *სოფლის მეურნეობის რესურსების უსამართლო განაწილების და არაეფექტიანი მართვის განცდა.* ეს განცდა/აღქმა, მნიშვნელოვანწილად, უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული მინის რეფორმის შედეგია, რის გამოც სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული მრავალი ოჯახი მინის გარეშე დარჩა. მძიმე სოციალური პირობების გამო რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება იჯარით აილოს და დაამუშაოს მინის ნაკვეთები, მოიწიოს მოსავალი და გაყიდოს საკუთარი მეურნეობის პროდუქცია. მდგომარეობას ართულებს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა და ამ დარგში არსებული დაბალი პროფესიონალიზმი. კონსულტაციების მონაწილეთა აზრით, ყოველივე ეს ინვესტ მზარდ მიგრაციას და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ საზოგადოების უკმაყოფილებას.

## ბ) სხვა პრობლემები

4. *რეგიონის განვითარებაში არასაკმარისი ინვესტიციები.* მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, ინვესტიციები, უმეტესწილად, მიმართულია სხვა სექტორებზე (მათ შორის, ენერჯო-რესურსებსა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე). კონსულტაციების მონაწილეთა აზრით, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების გარეშე რეგიონში უმნიშვნელო იქნება ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
5. *რეგიონის სამრეწველო ჩამორჩენილობა.* საბჭოთა პერიოდში რეგიონში კარგად იყო განვითარებული მრეწველობა. ამჟამად ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, უმეტესწილად, დახურული და გაძარცვულია.
6. *ეკოლოგიური პრობლემა.* ეს საკითხი „კაზრეთი-მადნეულს“ უკავშირდება. საწარმოს ნარეცხი წყალი რეგულარულად

ჩაედინება მდინარეში, რომლითაც მოსახლეობა სარწყავად სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ სანარმომ გაიყვანა ცალკე საირიგაციო არხი, ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ეს საკმარისი არ არის; აღნიშნული ვითარება მათ უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევს. კონსულტაციების დროს ასევე გაირკვა, რომ ხდება მარნეულის რაიონში მოსახლეობის მიერ თუთის ქალის არაკანონიერი ჭრა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ვერ დაადგინეს, ვის საკუთრებაშია ეს ტერიტორია.

7. *არასაკმარისი წყალმომარაგება.* სასმელი წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურა მთლიანად მოძველებულია და საჭიროებს სასწრაფო შეკეთება-განახლებას. რეგიონში ეს პრობლემა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს ეხება. თუმცა, მდგომარეობა შედარებით უკეთესია ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალურ ცენტრებში.
8. *არასამთავრობო ორგანიზაციების პირდაპირი დახმარების ნაკლებობა.* წინა წლებში ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს მთელი რიგი ისეთი წარმატებული პროექტებისა, როგორებიცაა: უფასო იურიდიული მომსახურება, სამოქალაქო განათლების პროგრამები, ინგლისური და ქართული ენების კურსები, უფასო კომპიუტერული კურსები და ახალგაზრდული პროგრამები. მიუხედავად ამისა, დონორმა ორგანიზაციებმა შეამცირეს დაფინანსება რეგიონში და არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწიათ საქმიანობის შეზღუდვა. ამჟამად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად დამოკიდებულნი არიან თბილისში არსებულ ორგანიზაციებთან პარტნიორობაზე.
9. *რეგიონიდან სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული მიგრაცია.* ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიემგზავრება სხვა ქვეყნებში სეზონური ან მუდმივი სამუშაოს საძოვნელად. სადახლოში მაგალითად, ბოლო ათ წელიწადში მოსახლეობის რიცხვი 13 ათასიდან სამი ათასამდე შემცირდა. კონსულტაციების დროს აღი-

ნიშნა, რომ მიგრაციის ზრდას 2006 წლის მიწის რეფორმამაც შეუწყო ხელი.

10. *სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა*. მართალია, რეგიონის ინფრასტრუქტურის განახლების თვალსაზრისით, შესამჩნევი პროგრესია, მაგრამ მაინც ბევრად მეტის გაკეთებაა საჭირო. მაგალითად, ძირითადი გზები განახლდა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები კი ჯერ კიდევ უაღრესად ცუდ მდგომარეობაშია.
11. *განათლების სისტემის პრობლემები*. ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემის მრავალ პრობლემას ემატება რეგიონის სპეციფიკური პრობლემები. ასეთებია ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, ქართული სკოლების მოუმზადებლობა არაქართულენოვანი მოსწავლეების მისაღებად, რეგიონის არაქართულენოვანი სკოლებისათვის პროგრამისა და სახელმძღვანელოების არარსებობა და პროფესიული სასაწავლებლების ნაკლებობა. ეს ყველაფერი ინვესტ განათლების სისტემის მიმართ უკმაყოფილებას ეთნიკურ არაქართულ მოსახლეობაში.

## ძირითადი პრობლემა №1: ეთნიკური და რელიგიური ძალადობის ზრდის შიში

### ა) მნიშვნელობა ადგილობრივი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის

ქვემო ქართლში ეთნიკური და რელიგიური დაძაბულობა ეთნიკურ აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ (ასევე, რეგიონში წარმოდგენილ სხვა, მცირერიცხოვან ეთნიკურ) ჯგუფებს შორის ამ ეტაპზე ლოკალური ხასიათისაა და, ძირითადად, განწყობების დონეზეა. 2008 წლის ომის შემდეგად დაძაბულობამ მოიმატა, რაც მომავალში დაპირისპირების საფუძველი შეიძლება გახდეს. გაუცხოება და ადგილობრივ ეთნიკურ თემებს შორის, სუსტი ეკონომიკური კავშირები, კომუნიკაციის ნაკლებობა, ნელი ინტეგრაციის პროცესი, ურთიერთუნდობლობა და რელიგიის მზარდი როლი რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის დაძაბულობას ზრდის.

### ბ) გავლენა ადგილობრივ დონეზე (ვის ეხება ეს საკითხი და როგორ)

- სხვადასხვა ეთნიკური წარმომობის მრავალი ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში განიცდის ეთნიკურ ან რელიგიურ დაძაბულობას მცირე თუ დიდი დოზით. მათ წარმოდგენაში ეს საფრთხეს უქმნის მათ კეთილდღეობასა და დაცულობას.
- ყველა თემი სხვა ჯგუფებისა და რელიგიების აღქმისას ეყრდნობა მოარულ ხმებს და სტერეოტიპებს (მაგალითად, შეგრძნება, რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფში ფართოდ არის გავრცელებული არარეგისტრირებული იარაღი).
- უარყოფითი განწყობები ეთნიკურ და რელიგიურ თემებში ერთმანეთის მიმართ არ მცირდება, რაც ზრდის გაუცხოებას.
- ადგილობრივი თემები ცხოვრობენ იმის მუდმივ შიშში, რომ ეთნიკური და რელიგიური დაძაბულობის შემთხვევაში მცი-

რე ინციდენტმაც კი შეიძლება ძალადობის ესკალაცია გამოიწვიოს.

### გ) მამოძრავებელი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)

- რეგიონის მოსახლეობას არ დავინწყებია 90-იანი წლების დასაწყისში გადატანილი, თემთა შორის მიმდინარე მწვავე კონფლიქტი. ადამიანები ფიქრობენ, რომ გარკვეულ გარემოებაში ეს შესაძლოა განმეორდეს.
- სუსტია ეკონომიკური კავშირები და განუვითარებელია კომუნიკაციები.
- სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტი აძლიერებს შიშს და ურთიერთუარყოფით დამოკიდებულებას რეგიონში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. აზერბაიჯანულ თემს სომხეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმის შიში გაუჩნდა. დაუცველობის გრძნობა უფრო გაიზარდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ. აზერბაიჯანული მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ რუსული თვითმფრინავები, რომლებმაც მარნეული და ვაზიანი დაბომბეს, სომხეთში მდებარე რუსული ბაზიდან აფრინდნენ.
- სასაზღვრო ხაზის დემარკაციასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაუცველობის ეს შეგრძნება განსაკუთრებით ძლიერია აზერბაიჯანელების იმ თემებში, რომლებიც ცხოვრობენ საქართველო-სომხეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, ამ თემებში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა სომეხი მესაზღვრეები გადმოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, იპარავდნენ მსხვილფეხა საქონელს და ადამიანებსაც კი აკავებდნენ (ამავე პროექტში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სომეხ მესაზღვრეებთან ადგილობრივ სომხურ მოსახლეობასაც აქვს მსგავსი პრობლემა).
- ადგილობრივ ეთნიკურ ქართულ თემში არსებობს მოსაზრება, რომ ადგილობრივი აზერბაიჯანელები უკეთეს სასოფლო სამეურნეო მიწებს ფლობენ (მაგალითად, აქვთ უკეთესი საირიგაციო გარემო) და, რომ ხელისუფლება მხარს

უფრო ეთნიკურ უმცირესობებს უჭერს, ვიდრე ეთნიკურად ქართველებს.

- ადგილობრივი ეთნიკური ქართველების წარმოდგენით, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართული თემი (საინგილო), დისკრიმინირებულია და არატოლერანტულ დამოკიდებულებას განიცდის აზერბაიჯანული სახელმწიფოს მხრიდან. ამის ფონზე ადგილობრივ ქართველებს უჩნდებათ კითხვა, თუ რატომ უნდა ექცეოდნენ ტოლერანტულად ეთნიკურ აზერბაიჯანელებს საქართველოში.
- რეგიონის ეთნიკური უმცირესობები თვლიან, რომ ეთნიკურ ქართველებს პრივილეგიები აქვთ მათთან შედარებით (მაგალითად, უმაღლეს განათლებაზე მეტად მიუწვდებათ ხელი). ასევე მიიჩნევენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარლამენტში ისინი არასათანადოდ არიან წარმოდგენილნი.
- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიის გაზრდილი როლი ამძაფრებს დაძაბულობას რეგიონის სხვადასხვა თემს შორის. ადგილი აქვს მცირე დონის უთანხმოებებს ადგილობრივ მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის. ამასთან, რეგიონში მინიშნებები კეთდება მუსულმანურ კონფესიებს შორის არსებულ დაძაბულობასა და შესაძლო კონფლიქტზე.
- ადგილობრივ მოსახლეობაში არსებობს მოსაზრება, რომ ხელისუფლებას რეგიონში დაძაბულობის შემცირების ადეკვატური სტრატეგია არ შეუქმნია და ამ მიმართულებით მისი ძალისხმევა არ არის საკმარისი – ხშირად ხელისუფლების ზოგიერთი სტრუქტურის ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს უკმაყოფილება, რადგან ეთნიკური უმცირესობების მხრიდან იგი შესაძლოა დისკრიმინაციად იქნეს აღქმული.
- არსებობს აზრი რომ, მრავალ ადგილობრივ ოჯახში ინახება დაურეგისტრირებელი იარაღი, რაც ძალადობის შესაძლებლობასა და შიშს ზრდის.
- ადგილობრივი მოსახლეობა სხვადასხვა მედია-საშუალებიდან იღებს ინფორმაციას: ქართულენოვანი მოსახლეობა

– ქართული მედიიდან; სომხურენოვანი – სომხური და რუსული მედიიდან; აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა აზერბაიჯანულსა და თურქულ მედია-საშუალებებს ეყრდნობა. ამის გამო რეგიონში პრობლემების აღქმა არაერთგვაროვანია განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მიერ. ეს კარგად გამოვლინდა 2008 წლის ომის დროს. ეს კიდევ უფრო ზრდის გაუცხოებას და ერთმანეთის მიმართ უნდობლობას სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის.

- არსებობს აზრი, რომ უცხოურ მედია-წყაროებზე დამოკიდებულება ეთნიკურ უმცირესობებს ადვილად მანიპულირებადს ხდის ამ წყაროების პროპაგანდის წყალობით. აღნიშნული გარემოება ეთნიკურ ქართველებში უმცირესობათა ჯგუფების 'მეხუთე კოლონად' აღქმას იწვევს.

## დ) რეკომენდაციები

**ქვემო ქართლში სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის დაძაბულობის მინიმუმადე დაყვანის** და ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, წარმომადგენლობითი ჯგუფი შემდეგ რეკომენდაციებს გვთავაზობს:

1. *სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და სტერეოტიპების შესუსტება:*
  - ა) ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები და დონორები ავითარებენ და ხელს უწყობენ ადგილობრივ მედია-საშუალებებს, რათა მათ მოიცვან მთელი რეგიონი და ინფორმაცია მიანოდონ მთელ მოსახლეობას რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ხელი ეწყობა სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის ფართოდ გაშუქებას.
  - ბ) ყველა აქტიური ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობებს, ისწავლონ ქართული ენა. ამ საკითხზე შემუშავებული რეკომენდაციები შემოთავაზებულია მეორე ძირითადი გამონვევის ნაწილში.

- გ) ადგილობრივი ხელისუფლება, მედია-საშუალებები და სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები ზრდიან ძალისხმევას, დაუკავშირდნენ რეგიონული ცხოვრებისგან იზოლირებული თემების ლიდერებს, რათა ისინი წაახალისონ რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობისთვის.
  - დ) მედია-საშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებენ საინფორმაციო კამპანიებს, რათა ეთნიკური უმცირესობები დაარწმუნონ, რომ მათი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არ არის გამოწვეული ეთნიკური წარმოშობით, რომ იგივე პრობლემები აქვთ სხვა (ეთნიკურად ქართულ) რეგიონებსაც.
  - ე) ხელისუფლება საზოგადოებრივ და კერძო ტელე-არხებთან ერთად ქმნის საერთო საინფორმაციო სივრცეს რეგიონის შიგნით, რათა არაქართულად მოლაპარაკე თემები უზრუნველყონ ქართულ მედია-საშუალებებზე (და არა მხოლოდ უცხოურ მედია-საშუალებებზე) ხელმისაწვდომობით. საინფორმაციო არხები უმცირესობათა ენებზე მაუწყებლობას ზრდიან; საინტერესო და შესაფერისი შინაარსის მაუწყებლობა უზრუნველყოფილია.
2. *სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის საერთო ინტერესების სფეროების/პირობების შექმნა:*
- ა) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციები ორგანიზებას უწევენ რეგულარულ მრავალეთნიკურ ღონისძიებებს, როგორებიცაა სპორტული და სხვა სახის შეჯიბრებები, გაცვლითი პროგრამები, ფესტივალები, კონცერტები და გამოფენები.
  - ბ) ადგილობრივი ხელისუფლება ქმნის სკოლამდელ, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სასკოლო შერეულ ჯგუფებს; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განაგრძობს მუშაობას, რომ უმცირესობე-

ბის ჯგუფებისთვის გაიზარდოს ხელმისაწვდომობა უმაღლეს განათლებაზე.

- გ) დამსაქმებელნი ქმნიან ეთნიკურად მრავალფეროვან გუნდებს. რეგიონში შემოსული უცხოური კომპანიები კადრების აყვანისას ითვალისწინებენ რეგიონის მრავალეთნიკურობას.
  - დ) ხელისუფლება და დონორები ერთობლივ ბიზნესსა და პროექტებს უწყობენ ხელს. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს საგრანტო კონკურსის გამოცხადება, რომლის მოთხოვნა იქნება აზერბაიჯანულ-ქართული თანამშრომლობა.
3. *სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მხრიდან ერთმანეთის ურთიერთვაგების და მიმღებლობის მაღალი დონე:*
- ა) ხელისუფლება, მედია, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები და კულტურის სამინისტრო გაზრდიან უმცირესობათა ჯგუფების ინფორმირებულობას მათ უფლებებზე და სახელმწიფოს მიერ ამ უფლებების დაცვის მექანიზმებზე. მიწოდებულია დემოკრატიული სახელმწიფოების ეთნიკური უმცირესობების საკითხების მართვის გამოცდილება.
  - ბ) ხელისუფლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებენ კულტურული მრავალფეროვნების მიმღებლობისა და ტოლერანტობის კურსებს როგორც ახალგაზრდებისათვის, ისე ზრდასრულთათვის.
  - გ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აძლიერებს სამოქალაქო განათლების კომპონენტს ყველა სასწავლო დაწესებულებაში. არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულნი არიან ამ პროცესში, როგორც ექსპერტული ცოდნის მიწოდების, ისე მონიტორინგის თვალსაზრისით.
  - დ) ეროვნული და ადგილობრივი მედია-საშუალებები უმცირესობების საკითხებს ფაქიზად და კორექტულად აშუქებენ.

4. ეთნიკური ჯგუფები რეგიონში თავს დაცულად გრძნობენ:

- ა) უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი უწყებები ატარებენ ღონისძიებებს რეგიონში იარაღის არაკანონიერი ფლობის ხარისხის შესამცირებლად და საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას, თუ როგორია, ამ მხრივ, რეალურად მდგომარეობა.
- ბ) უსაფრთხოების უზრუნველმყოფი უწყებები ქმნიან სპეციალურ პროგრამებს სასაზღვრო სოფლების საპოლიციო დაცვისთვის და ადგილობრივ მოსახლეობასა და მფობელი ქვეყნის მესაზღვრეებს შორის ურთიერთობის მონიტორინგისათვის (მაგალითად, დაძაბულობა ადგილობრივ მოსახლეობასა და სომხეთის მესაზღვრეებს შორის მარნეულის რაიონში).
- გ) საგარეო საქმეთა სამინისტრო და დემარკაციის უწყებათშორისი კომისია აჩქარებენ დემარკაციის პროცესს.

## ძირითადი პრობლემა №2: ეთნიკურ უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა

### ა) მნიშვნელობა ადგილობრივი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის

ეთნიკურ უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა მიჩნეულია განსაკუთრებით მწვავე პრობლემად, რადგან ხელს უშლის ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაციას ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეთნიკურ უმცირესობებში არსებობს სახელმწიფო ენის სწავლის დაბალი მოტივაცია. სადაც მოტივაცია არ არსებობს, ენის სწავლება არ ხდება ან დაბალი ხარისხისაა. სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე აძლიერებს გაუცხოებას და ამწვავებს გაუგებრობას როგორც ეთნიკურ ქართულ და უმცირესობების ჯგუფებს, ისე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს შორის.

### ბ) გავლენა ადგილობრივ დონეზე (ვის ეხება ეს საკითხი და როგორ)

- ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობებს სახელმწიფო ენის არცოდნის გამო უძნელდებათ სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა (მაგალითად, საპენსიო მომსახურება) და ხშირად არ მიუწვდებიან ხელი ინფორმაციაზე ახალი პროგრამებისა თუ კანონების შესახებ. ყოველივე ეს მათში აჩენს შეგრძნებას, რომ ისინი არ არიან სახელმწიფოს ნაწილი.
- ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების რიცხვი მცირეა საჯარო მოხელეთა შორის. არაქართულენოვან სახელმწიფო მოხელეებს უძნელდებათ სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოება და საჭირო ინფორმაციის მიღება.
- სხვადასხვა ეთნიკურ თემს შორის საკომუნიკაციო ენა რუსული იყო. ახალი თაობის ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს აღარ აქვთ საერთო საკომუნიკაციო ენა. ამის გამო რეგიონში ეთნოსებს შორის ურთიერთობა მცირდება.

- მნიერი კომუნიკაცია ამცაფრებს დაძაბულობას ეთნიკურ ჯგუფებს შორის.
- სახელმწიფო ენის არცოდნის გამო სამუშაოს პოვნასთან და უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებული სიძნელეები აიძულებს მრავალ ახალგაზრდას დატოვოს ქვეყანა და გაემგზავროს სხვა, უმეტესად, მეზობელ ქვეყნებში.
- ეთნიკური უმცირესობები ხშირად ყოველდღიურ სოციალურსა თუ ეკონომიკურ პრობლემას ეთნიკურ პრობლემად წარმოაჩენენ და თავს დისკრიმინირებულად მიიჩნევენ. ამავე დროს, ქართველები დარწმუნებული არიან, რომ, სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, პრივილეგიები აზერბაიჯანულ უმცირესობას აქვს მინიჭებული.
- ეთნიკურ ქართველებში ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა გაღიზიანებას იწვევს. მათი აზრით, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა.

### გ) მამოძრავებელი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)

- საბჭოთა პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო დანესებულებებში და სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციისას რუსული ენა გამოიყენებოდა. ამიტომ უმცირესობები არ მიიჩნევდნენ საჭიროდ, ესწავლათ ქართული ენა.
- სახელმწიფო ენის შესწავლის გაზრდილი მოტივაციის პირობებში (განსაკუთრებით, ქალაქური ტიპის დასახლებებში) სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ქართული ენის კურსები არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას (არ არსებობს თანამიმდევრული პოლიტიკა, რეგიონში კვალიფიცირებული მასწავლებლების დეფიციტია); არასამთავრობო ორგანიზაციები რესურსების სიმწირის გამო ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ენის შესწავლის მსურველთა დაკმაყოფილებას.
- სახელმწიფო ენის ცოდნა არ იძლევა დასაქმების გარანტიას რეგიონში არსებული უმუშევრობის ფონზე. ეს კიდევ უფრო ამცირებს ქართული ენის შესწავლის მოტივაციას.

- რეგიონში სხვადასხვა ეთნიკური თემი იზოლირებულია ერთმანეთისგან, შერეული სოფლები და ოჯახები იშვიათია. ინფრასტრუქტურის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობის გამო დამორეზული დასახლებული პუნქტების მოსახლეობას უჭირს მუნიციპალურ ცენტრებში ჩასვლა, რაც განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებთან ერთიერთობას კიდევ უფრო იშვიათს ხდის.
- ქვემო ქართლში მცხოვრები მრავალი ეთნიკური აზერბაიჯანელი კულტურულად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად საკუთარ თავს უფრო აზერბაიჯანს უკავშირებს, ვიდრე საქართველოს. ამ შეგრძნებას აძლიერებს აზერბაიჯანის მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროგრამები, აზერბაიჯანული კომპანიების ინვესტიციები და დამოკიდებულება აზერბაიჯანის ან თურქეთის მედია-სამუშალებებზე.

#### დ) რეკომენდაციები

**რეგიონში ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად** წარმომადგენლობითი ჯგუფი შემდეგი ქმედებების განხორციელებას გვთავაზობს:

1. *უმცირესობათა ჯგუფების ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის გაძლიერება:*
  - ა) რეგიონის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს ექმნება შეხვედრის და ინტერესების გაზიარების შესაძლებლობები.
  - ბ) ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ავითარებენ მედიას, რათა მისი ფუნქციონირება მოხდეს როგორც სახელმწიფო, ისე უმცირესობათა ენებზე.
  - გ) ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ახდენს ერთმანეთთან სამუშაოს კოორდინირებას ეთნიკურ ჯგუფებში სამოქალაქო ცნობიერების ასამაღლებლად. სამოქალაქო განათლება სრულფასოვნად იწერება საშუალო სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების დონე

ზე, ამასთან, ზრდასრულთათვის იქმნება დამატებითი კურსები.

- დ) ყველა სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა დაიცვას საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქეების უფლებები, რათა მათ მთარგმნელობითი მომსახურების საშუალებით ხელი მიუწვდებოდეთ შესაბამის სერვისებზე.
2. *არაქართულენოვან მოქალაქეებს შორის სახელმწიფო ენის შესწავლის გაზრდილი მოტივაცია:*
- ა) შესაბამისი სახელმწიფო უწყებები ქმნიან მოტივაციის პროგრამებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებისთვის, რაც მოიცავს კონკურსებს, ინტერნატურას სახელმწიფო უწყებებში და უფასო გადამზადების კურსებს.
  - ბ) ადგილობრივი და ეროვნული მედია სახელმწიფო ენის სწავლის წარმატებული მაგალითების გაშუქებას უწყობს ხელს.
  - გ) ხელისუფლება უზრუნველყოფს ქართული ენის კურსების ხელმისაწვდომობას ყველა მოქალაქისათვის.
  - დ) სახელმწიფო ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემდეგ ხელისუფლებამ უნდა შემოიღოს სახელმწიფო ენის ცოდნის სერტიფიცირების სქემა. მოქალაქეობის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ ენის საბაზო ცოდნა, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმების მსურველებმა კი – ენის ცოდნის უფრო მაღალი დონე.
3. *ქართულის, როგორც მეორე ენის, გაუმჯობესებული სასწავლო პროგრამა:*
- ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემოაქვს არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების გაუმჯობესებული ჩარჩო-პროგრამა. ასევე, ავითარებს ზრდასრულთა ენის შემსწავლელ ცენტრებს.
  - ბ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზრდის ქართული ენის გაკვეთილების სიხშირეს არაქართულენოვან საშუალო სკოლებში, ადგილობრივი ხელისუფლება

- ქართული ენის სწავლების შესაძლებლობას სკოლამდე დონეზე.
- გ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფასებს და მონიტორინგს უწევს ქართული ენის პედაგოგებს არა-ქართულენოვან სკოლებში.
- დ) განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაციები დონორების ფინანსური მხარდაჭერით ატარებენ უფასო ენის კურსებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის (ახალგაზრდებისთვის და ზრდასრულთათვის). ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები ხელს უწყობენ საკუთარ თანამშრომლებს სახელმწიფო ენის შესწავლაში.
- ე) მედია ქმნის ქართული ენის სატელევიზიო სასწავლო პროგრამებს.

## **ძირითადი პრობლემა №3: სოფლის მეურნეობის რესურსების განაწილების უსამართლობის აღქმა და არაეფექტური მართვა**

### **ა) მნიშვნელობა ადგილობრივი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის**

ეს განცდა/აღქმა, მნიშვნელოვანწილად, უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული მინის რეფორმის შედეგია, რის გამოც სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული მრავალი ოჯახი მინის გარეშე აღმოჩნდა. მძიმე სოციალური პირობების გამო რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობას არ შეუძლია, იჯარით აიღოს და დაამუშაოს მინის ნაკვეთები, მოინიოს მოსავალი და გაყიდოს საკუთარი მეურნეობის პროდუქცია. მდგომარეობას ართულებს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებზე ხელმიუწვდომლობა და ამ დარგში არსებული დაბალი პროფესიონალიზმი. კონსულტაციების მონაწილეთა აზრით, ყოველივე ეს იწვევს მზარდ მიგრაციას და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ საზოგადოების უკმაყოფილებას.

### **ბ) გავლენა ადგილობრივ დონეზე (ვის ეხება ეს საკითხი და როგორ)**

- ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს საშუალება, იჯარით აიღოს სასოფლო სამეურნეო მიწები და დაამუშაოს. აქედან გამომდინარე, არ იქმნება შემოსავალი და იზრდება სიღარიბის დონე. ის გლეხებიც კი, რომლებსაც აქვთ საშუალება, ისარგებლონ მიწით, თვლიან, რომ საკმაოდ ძნელია მოგების მიღება.
- არის განცდა რომ რეგიონის სასოფლო-სამეურნეო რესურსები (მიწა, სარწყავი წყალი, სასოფლო-სამეურნეო დანადგარები და ტექნიკა, განვითარების პროგრამები და სხვა) არაეფექტურად იმართება. ამან კი შექმნა აზრი, რომ რესურსებზე ხელმისაწვდომობა არასამართლიანად არის განაწილებული.

- ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას ზრდის მოსაზრება, რომ მას შეეძლო მეტი გაეკეთებინა გლეხების საკეთილდღეოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების და იმპორტის რეგულირების გზით.
- ახალგაზრდები აღარ იჩენენ ინტერესს სოფლის მეურნეობისადმი, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ უზრუნველყოფს გარანტირებულ შემოსავალს. აქედან გამომდინარე, ადგილი აქვს რეგიონიდან ახალგაზრდების მზარდ გადინებას.

### გ) მამოძრავებელი ფაქტორები (მიზეზები და აქტორები)

- რუსეთი იყო რეგიონის პროდუქციის ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო ბაზარი. ამჟამად რუსეთსა და საქართველოს შორის გართულებული პოლიტიკური ურთიერთობების გამო ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ყიდის რუსეთში პროდუქტებს.
- საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ რეგიონის მრავალ მოქალაქეს გაუჭირდა ახალ ეკონომიკურ რეალობასთან ადაპტირება. მათ ვერ განივითარეს უნარ-ჩვევები კერძო საკუთრების პირობებში ბიზნესის წარმატებულად სამართავად.
- ხელისუფლების მიერ ჩატარებული მინის რეფორმის შემდეგ მრავალ ადგილობრივ მოსახლეს მინით სარგებლობის პრობლემა შეექმნა. ამას დაემატა მინის რეფორმის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, რაც განსაკუთრებით მწვავედ შეეხოთ აზერბაიჯანულენოვან გლეხებს სახელმწიფო ენის არცოდნის გამო.
- რეგიონში ინფრასტრუქტურა და საირიგაციო სისტემა მოშლილი და ამორტიზებულია; არ არსებობს თანამედროვე მიდგომები (მაგალითად, ტექნოლოგიები, დანადგარები, გაუმართავია სერვისების მიწოდება და შეიმჩნევა კვალიფიციური კადრების – აგრონომების, ვეტერინარების, მელიორატორების, ეკონომისტების და ა.შ. – დეფიციტი). რეგიონში სარწყავი წლის ნაკლებობაა და, შესაბამისად, ის გაძვირებულია.

- ადგილობრივ გლეხთა უმეტესობა საქმიანობას ვერ გეგმავს ბაზრის საჭიროებების მიხედვით. ამის გამო რეგიონის სოფლის მეურნეობაში ხშირად იქმნება ჭარბი პროდუქცია ან სახეზეა დეფიციტი. ამას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ რეგიონში მხოლოდ რამდენიმე გადაამამუშავებელი საწარმოა, რომლებიც მეტად დაბალ ფასში იბარებენ პროდუქციას. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ უწევს კონკურენციას მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებულ იაფფასიან პროდუქციასაც.

## დ) რეკომენდაციები

იმისათვის, რომ **რეგიონში განვითარდეს სოფლის მეურნეობა**, წარმომადგენლობითი ჯგუფი გვაძლევს შემდეგ რეკომენდაციებს:

1. *სასოფლო-სამეურნეო რესურსების განაწილებასა და მენეჯმენტზე მოსახლეობის უკეთ ინფორმირება:*
  - ა) სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა სათანადო უწყებებთან ერთად ატარებს სასოფლო-სამეურნეო რესურსების სრულ ინვენტარიზაციას (მიწა, წყალი, დანადგარები) და ქმნის მათი დისტრიბუციის მექანიზმებს. ინფორმაცია მიეწოდება რეგიონის მოსახლეობას სახელმწიფო და უმცირესობათა ენებზე.
  - ბ) არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მედია-საშუალებები ჩართული არიან სოფლის მეურნეობის რესურსებზე და მათ დისტრიბუციაზე რეგიონში ინფორმაციის გავრცელებაში.
2. *სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება:*
  - ა) ადგილობრივი ხელისუფლება, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გუბერნატორი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღადგენენ საირიგაციო სისტემას ქვემო ქართლში.
  - ბ) ადგილობრივი ხელისუფლება აშენებს სოფლების და რეგიონული ცენტრების დამაკავშირებელ ადგილობრივ გზებს, ასევე, სავარგულებამდე მისასვლელ გზებს.

- გ) ადგილობრივი ხელისუფლება ახდენს სატრანსპორტო საჭიროებების შეფასებას და მიღებული შედეგების საფუძველზე ქმნის გეგმას რეგიონის შიგნით გადაადგილების გასაუმჯობესებლად.
- დ) მდგრადი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლება ქმნიან პროგრამას სოფლის თემებში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.
3. *სოფლის მეურნეობის მრეწველობის უზრუნველყოფა კვალიფიცირებული პერსონალით:*
- ა) სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, თანამშრომლობენ და ავითარებენ შესაბამის პროგრამებს კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტების დონის ასამაღლებლად, ამ სფეროთი ახალგაზრდების დასაინტერესებლად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონს შორის გამოცდილების გასაზიარებლად და უცხოეთში ახალი ტექნოლოგიების შესასწავლად.
4. *სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის განვითარება რეგიონში:*
- ა) ხორციელდება იაფფასიანი კრედიტები და სხვა დამხმარე პროგრამები (სადაზღვევო სისტემის ჩათვლით) ფერმერებისა და მცირე მენარმეებისათვის. ასეთი მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს რეგიონში სათანადო გავრცელებას.
- ბ) ადგილობრივი ხელისუფლება სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ტურიზმის სააგენტოსთან ერთად ქმნის პროგრამას, რომელიც გაზრდის სასოფლო-სამეურნეო ტურიზმს რეგიონში.
- გ) სოფლის მეურნეობის სამინისტრო საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით ფერმერებს აწვდის რჩევებს, რა დათესონ, რომელ სეზონზე და რა რაოდენობით.

- დ) სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების და დონორების მხარდაჭერით ქმნის ინოვაციების პროგრამას ადგილობრივი ფერმერებისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანადგარ-მონწყობილებების, ახალი კულტურების (ბიო-პროდუქციის ჩათვლით), თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსატანად.
- ე) სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ბიზნეს-სექტორი და დონორები სწავლობენ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების და მომსახურეობის ცენტრების შექმნის შესაძლებლობასა და პერსპექტივებს.

## დანართი: პრობლემების ანალიზისა და გადაწყვეტის სტრატეგიების შემუშავების მეთოდოლოგია

თითოეული გამოვლენილი ძირითადი პრობლემისათვის წარმომადგენლობითმა ჯგუფმა რამდენიმე საფეხურიანი სამუშაო პროცესი გაიარა. ჯერ მოხდა “პრობლემების ფორმულირება” თითოეული გამომწვევის ასახსნელად. შემდეგ თითოეული პრობლემის საფუძველზე შეიქმნა “გადაწყვეტის სტრატეგია”, ანუ როგორ უნდა გადაჭრილიყო ესა თუ ის პრობლემა, რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო კონკრეტულ რეკომენდაციებს. პროცესის ყოველ ეტაპზე წარმომადგენლობითი ჯგუფის წევრები კონსულტაციებს ატარებდნენ როგორც თემთა ფართო სპექტრთან თავ-თავის რეგიონებში, ისე სხვა რეგიონების წარმომადგენლებთან.

### “პრობლემის განაცხადის” შემუშავება

გამოვლენილი კონკრეტული პრობლემისათვის პრობლემის განაცხადის მოსამზადებლად, წარმომადგენლობით ჯგუფს ჩაუტარდა ფასილიტაცია, რათა გაანალიზებულიყო: (1) პრობლემების გამომწვევი და მამოძრავებელი ფაქტორები, ანუ რა ინვესტაცია პრობლემას და ვინ არის პასუხისმგებელი; (2) პრობლემის გავლენა, ანუ ვინ და რა სახის გავლენას განიცდიდა. იდენტიფიცირებულ გავლენებზე მუშაობისას ჯგუფს თხოვეს, ნათლად ჩამოეყალიბებინათ, (3) რატომ არის საკითხი მნიშვნელოვანი რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის.

### “პრობლემის განაცხადის” ტრანსფორმირება “გადაწყვეტის სტრატეგიად”

როცა სახეზე იყო უკვე პრობლემის განაცხადი, ჯგუფს ეთხოვა შესაბამისი “გადაწყვეტის სტრატეგის” შემუშავება. ამის გაკეთებისას ჯერ თხოვეს: (1) იმ საბოლოო ცვლილების იდენტიფიცირება, რომელიც მათ სურთ მიიღონ პრობლემაზე მუშაობის შედეგად; (2) იმ წინაპირობების იდენტიფიცირება, რომელთა დაკმაყოფილება იქნება საჭირო: იქნება ეს პოლიტიკის, პრაქტიკის, დამოკიდებულების თუ ქცევების შეცვლა. პროცესის ყველაზე რთულ ნაწილს წარმოადგენდა იმის უზრუნველყოფა, რომ სია არ ქცეულიყო გრძელ “საყიდლების ჩამონა-

ნერად”. შესაბამისად, ჯგუფს მიეთითა გამოეყოთ მხოლოდ ის ელემენტები, რომლებიც აბსოლუტურ საჭიროებას წარმოადგენდა და რომელთა გარეშე შეუძლებელი გახდებოდა საბოლოო ცვლილებების განხორციელება; დაბოლოს, (3) იმ ნაბიჯებზე თუ ცვლილებებზე “ბრენ-სტორმინგის” ჩატარება, რომლებიც აუცილებელია თითოეული ამ ნაპირობათაგანის შესაქმნელად.

**გთხოვთ, ქვემოთ იხილოთ ჯგუფისათვის მაგალითად მიცემული “გადანწყევტის სტრატეგია”**

**1) საბოლოო ცვლილება, რომელიც გვესაჭიროება**

შეიქმნას ისეთი გარემო, რომელშიც მარცხიანი ხიზრებულ ქალებს კონფლიქტის გავლენის ქვეშ მყოფი თქმებიდან საშუალება შეეცნობოდა დაიცვან საკუთარი უფლებები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებაში

**2) ძირითადი წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია საბოლოო ცვლილების მისაღწევად**

ქალებმა გაიძლიერეს თვითრწმენა და სურვილი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში	ქალებმა გაიძლიერეს საჯიბრო უნარ-ჩვევები პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად	არსებობს ადეკვატური კანონები, რომლებიც იცავენ ქალთა უფლებებს	საზოგადოებაში არსებობს (სა)ჯაჭვო ქალების ჩართულობის მიმართ გადაწყვეტილების მიღებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შაბი უფლებების დაცვის მიმართ
----------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**3) ძირითადი წინაპირობების შესაქმნელად აუცილებელი ნაბიჯები**

↑ ქალთა წარმატება იხვედრება უფლებადამცველებთან, როგორც მასპატივების	↑ ქალთა დაშვება განვითარების საშუალებების იხრება	↑ შესაშინედა მკეთრიად ჩამოყალიბებული და ფართოდ გავრცელებული აღქმა იმისა, თუ რა არის ქალების უფლება-სამოქალაქო საზოგადოება ორგანიზებულია და უბიძგებს ქალების უფლებების უფრო ფართოდ დაცვას	↑ შეიშინედა ცვლილებები ქალთა როლის მიმართებით საზოგადოებაში
ქალებს აქვთ ძლიერი მხარდაჭერი ქსელი	არსებობს გარემო, რომელშიც ქალებს შეუძლიათ სხვადასხვანაირი როლის თამაში	არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების უფლებების დაცვას	არსებობს ადეკვატური კანონები, რომლებიც იცავენ ქალთა უფლებებს
ქალები გრძნობენ მთლიან მონაწილეობაზე უფლებას არსებით მთავრობაში	ქალები აცნობიერებენ შესაბამისი კარიერის გზების არსებობას პოლიტიკურ ცხოვრებაში	არსებობს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების უფლებების დაცვას	არსებობს საინფორმაციო ბაზა ქალთა მონაწილეობის ხარვეზების შესახებ
ქალები ხელავენ საკუთარი საქმიანობის შედეგებს	პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურა უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებების მიღება	არსებობს საინფორმაციო ბაზა ქალთა მონაწილეობის ხარვეზების შესახებ	
პოლიტიკური კულტურა ხდება ნაცლებ მასპატივების, ნაცლებ — შაბი პოლიტიკა			

### რეკომენდაციების შემუშავება “გადანყვეტის სტრატეგიიდან”

შემდეგ ეტაპზე ჯგუფს დაევალა მოემზადებინათ რეკომენდაციები გადანყვეტის სტრატეგიებიდან: (1) თითოეული წინაპირობის იმ ძირითადი საკითხის ხელახალი ფორმულირებით, რომელსაც გადანყვეტა ესაჭიროება; (2) თითოეული ნაბიჯის კონკრეტულ რეკომენდაციად ხელახალი გარდაქმნით – თუ რა არის გასაკეთებელი და ვინ არის პასუხისმგებელი ამ ცვლილებაზე.

### ვთხოვთ გაეცნოთ ქვემოთ მავალითად გამოტანილ რეკომენდაციებს, რომლებიც ჯგუფს მიენოდა სამუშაო სავარჯიშოდ.

1) გადასაწყვეტი ძირითადი საკითხი

ქალთა თვითრწმენის და სურვილის გაძლიერება, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში

3) კონკრეტული რეკომენდაციები

↑

საჭიროა, ქართულმა მედია-საშუალებებმა გაზარდონ/გააძლიერონ ქალთა მონაწილეობის გაშუქება თემის და საზოგადოების ცხოვრებაში, იმ წვდომის გასაღებით, რომელიც ქალებს შეაქვთ საქართველოს საზოგადოებაში

ერთეული და ხაერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურ როლს თამაშობენ პოლიტიკაში შესაბამისი ტრენინგების ნარკებით ქალების გამხწყვებით და მობილიზაციით ადვოკატურისთვის არსებული შესაძლებლობების გარეშე

ყველა პოლიტიკური პარტია აერთაშორისო ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაცია საჭიროებს ქალთა წარმომადგენლებს, როცა ისინი ახალი პოლიტიკური მოსართულებების ფორმულირებაზე მუშაობენ

ყველა პოლიტიკური პარტია აქტიურად იღებს ქალებს წევრებად და ამოწმებს მათ სამუშაო კულტურას და პრაქტიკულ საქმიანობას იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი გენდერულად მგრძობიარენი არიან

კონსულტაციების, ანალიზისა და სტრატეგიების შემუშავებაში და ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ ქვემო ქართლის ჯგუფის წევრები:

ჯონდო ადუაშვილი  
ირმა ზურაბაშვილი  
საბინა თალიბოვა  
დომიტრი ლაზარი  
რუსტამ მაილოვი  
ირმა მჭედლიძე  
ლეილა სულეიმანოვა  
შორენა ნიკლაური

დასრულებული სახით ანგარიში მოამზადეს მერაბ ცინდელიანმა და თიკო ტყეშელაშვილმა.

ანგარიშს საბოლოო რედაქტირება გაუკეთეს დავით ლოსაბერიძემ და დავიდ ვუდმა. მადლობას ვუცხადებთ ფლორ ჯასტს და აივენ ქემპბელს მეთოდოლოგიაზე მუშაობაში დახმარებისათვის და წარმომადგენლობითი ჯგუფის შეხვედრების ფასილიტაციისთვის.



## მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დამოუკიდებელი, საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე კვლევითი ცენტრია. ინსტიტუტი დაფუძნდა თბილისში 1992 წელს. CIPDD არის არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაცია. ინსტიტუტის კომპეტენცია განსაკუთრებით მაღალია ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის პრობლემები და სამოქალაქო ინტეგრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და უსაფრთხოების სექტორის რეფორმები. კავკასიური ინსტიტუტი ასრულებს კვლევით სამუშაოებს, ამზადებს და გამოსცემს სხვადასხვა პუბლიკაციას, აწყობს კონფერენციებს, მრგვალ მაგიდებს და საჯარო დისკუსიებს. ინსტიტუტი აგრეთვე ატარებს სასწავლო ტრენინგებს და სემინარებს.



## საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. ის საქმიანობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად. ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა კავშირი.

### ასოციაციის მიზნებია:

- იურისტთა შორის პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება
- იურისტთა პროფესიული დაოსტატება და კვალიფიკაციის ამაღლება
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა
- საზოგადოებაში სამართალშეგნების დონის ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება
- სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის შექმნა

## უსაფრთხო მსოფლიო/Saferworld



უსაფრთხო მსოფლიო-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: კონფლიქტის პრევენცია და შემცირება; ასევე, უსაფრთხოების ერთობლივი მიდგომების შემუშავება. ჩვენ ვთანამშრომლობთ სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა ხელი შევუწყოთ ეფექტური პოლიტიკის დამკვიდრებას ადვოკატირების, კვლევის და პოლიტიკის განვითარებით.

## **მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა ქვემო ქართლში - ადგილობრივი თემების მონაწილეობით შემუშავებული სტრატეგია**

ადგილობრივი თემების აზრით, რეგიონში მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად უნდა დავძლიოთ შემდეგი გამოწვევები:

**ქვემო ქართლში სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის დაძაბულობის მინიმუმამდე დაყვანა.** მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის დაძაბულობა ამ ეტაპზე ლოკალური ხასიათისაა და ძირითადად განწყობების დონეზეა, 2008 წლის ომის შედეგად დაძაბულობამ იმატა და მომავალში დაპირისპირების საფუძველი შეიძლება გახდეს.

**რეგიონში ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება.** ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა აფერხებს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ ინტეგრაციას და სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის ურთიერთობას.

**რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარება.** მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, რომ სოფლის მეურნეობის რესურსები უსამართლოდ არის განაწილებული და მათი მართვა არაეფექტიანად ხდება. ამის შედეგია მზარდი მიგრაცია და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ საზოგადოების უკმაყოფილება.

ამ გამოწვევათა დაძლევის დეტალური რეკომენდაციები მოცემულია ანგარიშში.

ანგარიში დაიბეჭდა ევროკავშირის მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ევროკავშირის პოზიციას.



პროექტი დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ